

**თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება  
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

საქართველოს თავდაცვის ძალების ჯანმრთელი კონტინგენტით შევსების მიზნით, თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების სახელმწიფო პროგრამა მოიცავს:

- ✓ თავდაცვის ძალებში გასაწვევ კონტინგენტს დაქვემდებარებული პირების ამბულატორიულ შემოწმებას;
- ✓ დამატებით სამედიცინო გამოკვლევებს.

**თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება**

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის დროს შესამოწმებელ პირს უტარდება:

- ქირურგის, თერაპევტის, ნევროპათოლოგის, ფსიქიატრის, ოფთალმოლოგის, ოტორინოლარინგოლოგის, სტომატოლოგის, დერმატოლოგის, ფთიზიატრის, ტრავმატოლოგის კონსულტაცია;
- გულკერდის ორგანოების რენტგენოლოგიური კვლევა;
- სისხლის ანალიზი (ედს, ჰემოგლობინის, ლეიკოციტების განსაზღვრა);
- სისხლის გამოკვლევა (ჯგუფზე და რეზუს ფაქტორზე, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსზე, B ჰეპატიტის ვირუსზე, C ჰეპატიტის ვირუსზე, ათაშანგზე);
- შარდის საერთო ანალიზი (ხვედრითი წონა, PH, ცილა, გლუკოზა);
- სიმაღლისა და სხეულის მასის გაზომვა (საჭიროების შემთხვევაში კისრის, მუცლის, თემოს გარშემოწერილობის და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ანთროპომეტრიული გამოკვლევები)

მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება ამბულატორიული გამოკვლევის მოცულობა ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან.

თავდაცვის ძალებში გასაწვევ პირთა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები ტარდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ დაწესებულებებში.

მომსახურების დაფინანსება სრულად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და მომსახურების მიღებისას პაციენტმა არ უნდა გადაიხადოს რაიმე სახის გადასახადი.

**შენიშვნა:** წვევამდელის, ჯანმრთელობის მდგომარეობით, სამხედრო სამსახურისათვის “დროებით არ არის ვარგისი”, „შეზღუდულად ვარგისი“ და „არ არის ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის“ დადგენის შემთხვევაში წყდება წვევამდელის სამედიცინო კვლევა და მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ გამოიცემა შესაბამისი სამედიცინო დასკვნა.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/tavdacvis%20dzalebshi%20gasawvev%20moq.%20shemowmeba.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05